რედაქციისაგან

აშშ პოლიტიკური ისტორია რამდენიმე ათეულ შემთხვევას იცნობს და გვაცნობს იმპიჩმენტის წესით მაღალი რანგის მოხელეთა თანამდებობიდან გადაყენების ან ჩამოცილების მცდელობისა. ოთხი მათგანი ქვეყნის პრეზიდენტებს შეეხო. მათ შორისაა ენდრიუ ჯონსონი. მისი იმპიჩმენტის ამბავი საფუძვლიანად არის გაშუქებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.*

მიუხედავად ამისა, ჟურნალის რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია 1868 წლის გაზეთ „დროებაში" დასტამბული მოკლე ცნობის გამოქვეყნება, რათა საცნაური გამხდარიყო, თუ რაოდენ ცხოველ ინტერესს იჩენდა იმჟამინდელი ქართული პრესა, სახელდობრ, „დროება" უცხოეთში დემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუტების მშენებლობის მიმართ.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კონსტიტუციური დემოკრატიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მსგავსი შინაარსის პუბლიცისტური წერილების ერთ წიგნად გამოცემა.

პუბლიკაციაში გაზეთის იმდროინდელი ენა და სტილი უცვლელად არის შენარჩუნებული.

* *ევა გოცირიძე,* იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში (კონსტიტუციური დილემები). 2013.

ენდრიუ ჯონსონი

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲜᲓᲠᲘᲣ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲘᲛᲞᲘᲩᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

„დროება“. 1868 წელი. 19 აპრილი (1 მაისი)

შეერთებული შტატები. სენატის შეკრებილება მარტის 1 (13)-ს. ნუ-იორკის გაზეთებში მარტის 13 და 14-დგან დაწვრილებით აღწერილია სენატის შეკრებილება, რომელმაც დაიწყო განსამართლება პრეზიდენტისა. როგორცა სჩანს, თითქოს არას დროს ისე ცნობისმოყვარება არ გამოუჩენია ამერიკის საზოგადოებას, როგორც ეხლა; ყველა ცდილობს სენატში შესასვლელი ბილეთი იშოვნოს. დილით ადრიანათ დიდ ძალი ხალხი შეიყარა კაპიტოლიის (სენატის შესაკრებელი სასახლეს) წინა; უწესობა არ მომხდარა. სასახლეში შესვლა კი ცოტამ მოახერხა. დილის თერთმეტ საათზე წინა სკამები მშვენიერად მორთულ მანდილოსნებმა დაიჭირეს. სენატორების ადგილს უკან, ორასიოდ კრესლები ეწყო წარმომადგენელთ პალატის წევრებისათვის. პრეზიდენტის კრესლოს პირდაპირ ორი დიდი სტოლი იდგა; ერთ ამ სტოლს გარშემო უსხდნენ ბრალსადები კომიტეტის შვიდნი წევრნი: ბონგემი, ბოტველლი, ვილსონი, ვილლიამსი, ლოპანი, ბუტლერი და სტივენსი; მეორე სტოლს უსხდნენ პრეზიდენტის ადვოკატები (მოსარჩლენი, დამცველნი): ჰენრი სტენბერი, კურტისი, ბლეკი, ევარტი და ნელსონი. შუადღეს შემდეგ პირველ საათზე მღვდელმა წაიკითხა შესაფერი ლოცვა, რომ ზეცამ სენატორებს გონება განუნათლოს თავიანთ დიდის ვალდებულების აღსასრულებლათ, რამდენისამე ხნის შემდეგ შემოვიდა უმაღლესი მსაჯული ჩეზი და სენატის პრეზიდენტმა უადემ თავისი ადგილი იმას დაუთმო, ამას შემდეგ სენატი შეიქმნა *უმაღლეს სამსჯავროთ.* უფალმა ჩეზმა უბრძანა გეროლდსა ბრალდებული მოიწვიოს. თავისისის ადგილიდგან ადგა გეროლდი და დიდებულათ წამოიძახა: „ანდრუ ჯონსონო, შეერთებულის შტატების პრეზიდენტო, წარმოსდეგი პასუხის მოსაცემლათ ბრალეულობაში, რომელსაც შენ გადებს წარმომადგენელთ პალატა“. შემდეგ ჩეზმა, უბრძანა ბრალდებულის ადვოკატები მოიწვიონ. ერთმა ადვოკატმა სტენბერიმ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა. „უფალო უმაღლესო მსაჯულო, მე და ჩემნი მოამხანაგენი, კურტისი და ნელსონი აქ მოვედით დღეს დილით პრეზიდენტის ადვოკატებათ. მე რწმუნებული მაქვს ეს შემდეგი პრეზიდენტის მოხსენება წავიკითხო, თუ ნებას მიბოძებთ: „ანდრუ ჯონსონის, შეერთებულ შტატების პრეზიდენტის სამართალში მიცემის საქმის შესახებ. ანდრუ ჯონსონმა, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, მივიღე რა მოწვევა, რომ წარმოვსდგე წინაშე ამ ღირს



სალომონ ჩეიზი

პატივცემულის სამსჯავროისა, რომელიც ბრალმდებელ სამსჯავროთ შეკრებილა და პასუხი მოვსცე იმ ბრალეულობაში, რომელსაც მე მადებს ღირს პატივცემული წარმომადგენელთ პალატა შეერთებულის შტატებისა, მე წარმოვსდგები პიროენობით ჩემის ადვოკატებისა სტენბერის, კურტისის, ბლეკის, ევარტის და ნელსონის, რომელთაც მე ვექილობას ვარწმუნებ, რომ ღირს პატივცემულს სამსჯავროსა სთხოვონ საჭირო დრო, რომელიც მოუნდება ბრალსადებ პუნქტების პასუხის მომზადებასა. კარგათ განვიხილე რა წარმოდგენილი ბრალდებულება და ვარჩიე რა ჩემს ადვოკატებთან, დავინახე, რომ პასუხის მომზადებისათვის ორმოცი დღე დამჭირდება და უპატივცემულესათ ვითხოვ ეს ვადა მომეცეს.

„ანდრუ ჯონსონი“.

ამ წერილის შემდეგ, უ. სტენბერიმ სთქვა, რომ კიდევ რამდენიმე შენიშვნა უნდა მოვიტანოვო და წაიკითხა ბარათი, პრეზიდენტის ადვოკატებისაგან ხელმოწერილი, რომელნიც კანონიერის საბუთებით ეხმარებიან პრეზიდენტის თხოვნასა; ბრალდებულ კომიტეტის პრეზიდენტმა, ბონგემმა სთხოვა სენატსა, რომ ამ თხოვნაზე უარი სთქვას; უფ. ბუტლერმა სთქვა, რომ ამ ჩვენს დროებაში, რკინის გზებსა და ტელეგრაფების დროებაში არა საქმეს გაგრძელება არ უნდაო, მეტადრე ამისთანა საქმის გაბმა არ შეიძლება, როგორც რესპუბლიკის აღმასრულებელის უფლების თავის განსამართლება არისო. ამას შემდეგ მოხდა ცხარე ბაასი სტენბერის, კურტისის და ნელსონის შორის, ერთის მხრით, და ბინგემის და ბუტლერის შორის, მეორეს მხრით. ბოლოს სენატორები გავიდნენ სხვა ოთახში ვადის დანიშვნის სარჩევათ; როცა დაბრუნდნენ, გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტს მოსამზადებლათ ათი დღის ვადა ეძლევა. გაზეთები ამბობენ თითქოს გაკვირვებითა, რომ პრეზიდენტის განსამართლების საქმე აქამდის სულ დიდებულებით და დიდის ცერემონიებით მოხდაო.